

572
1991

ISSN 0132-5965
ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ԶԵՆՆԱԳՐԱԿԱՆ
ԿԵՆՏՐՈՆ



1991 Յ. ՅԱՆՆԱԿ ԴԻ 5

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ
ԶԵՆՆԱԳՐԱԿԱՆ
ԿԵՆՏՐՈՆ

თავისუფლების დღე

კიჭი, კიჭი, კიჭინას
 სელში დროშა მიჭირავს —
 დროშა სამფეროვანი,
 მწიფე შინდისფერი,
 მივიჩქარი მწულობრში,
 მივალ, მივიძღერი.
 ჩემთან არის ვანო,
 ნანა, გენო, თეა...
 ოცდაექვსი მაისის
 რა ღამაში დღვა.
 უამრავი ხალხია,
 ქუჩებია სავსე,
 მსუც გივკიზებს დროშად
 საქართველოს თავსე.



ფულინათა მილლიანი

შაი პოდა

შაი, შაი, შაი ვოდა...
 წუსელი რომ ქარი ქროდა,
 ცა მდინარეს დასწაფოდა,
 თავის კუთვინილ წვალსა სწოვდა...
 შაი, შაი, შაი ვოდა,
 მერე სადღა წავიდოდა?!
 ისევ მიწას დაწვიმდა,
 ისევ გულმკერდს დაულობდა...
 შაი, შაი, შაი ვოდა,
 მზე ბალახსე თითქოს მოვდა,
 ქარი, სადღაც მიმალული,
 გაბედულად ვეღარ რობდა.
 ... შაი, შაი, შაი ვოდა,
 ვარდობისთვე მოდიოდა...





„...ჩემი ნაშრომი უაურიანებო“

რაპავა ინანიშვილი

მატყარი ვაჟა ქარხული

თეთრწყვერიანი ბერიკაცი უყვებოდა მის წინ დამხსნადარ ბავშვებს:

— ძველადღე ბევრი რამ იყო კარგი. მაგალითად: მასობა, პირველი და ორი მასი. პირველი მასი, მთლად ძველებსათვის, დიდი თამარ მეფის დღე! ჩვენ, რა თქმა უნდა, სანვენოდ ვიყენებდით ამ დღეს. მასი მთლიანად, თრთოლვითა და თახთახით, ჩვენს გადამწვანებულ ქედებსა და ველებზე.

უთენია ვდგებოდი დიდებოცა და პატარებიც. პირველში ქალაქის მთავარი ქუჩები საცხე იყო საგაჭროებით, თყიდებოდა უამრავი ჯადოსნური სათამაშო და ტკბილეული. თუ ფული გქონდა... მაგრამ ჩვენ ფული ისე არასოდეს გვქონია, მოგვეკიდა ხელი რაიმესათვის და მაშინვე გვეყიდა.

დილის ათ საათზე ქალაქის ცენტრში აღლუმი იწყებოდა. ყველაზე მთავარი ქუჩა ათასნარად იყო აჭრულბული, ხმაურობდა თავიდან ბოლომდის. იმდენი ხალხი იყო, იმდენი დროშა ფრიალებდა, იმდენი ბელადის სურათი ჰქონდათ გამოტანილი, გრძელი ღოზუნგები იყო გაჭიმული, იდგნენ სპორტსმენები, მოცეკვავეები, ჭირდა ერთი მხრიდან მეორეზე გადახვლა.

ათ საათზე ქალაქის ყველაზე მთავარი სასულეობრივი მხედრულს დააქუხებდა. სულ წინ ტანკე-

ბი და ჯავშნისანი ავტომანქანები მიდიოდნენ, მერე სამხედროები მიაბრჯებოდნენ, მკერდზე კარაბინები ჰქონდათ მიკრული, ჩექმების სქელ ძირებზე რაღაც ჩხარუნა რკინები ჰქონდათ მიჭიდებული, მიდიოდნენ და ჟრუნტელის მომგვრელ ძვრიალს გამოსცემდნენ. ჯვარისკაცებს მეზღვაურები მოჰყვებოდნენ, მერე — სამხედრო სკოლების მოსწავლეები, ამათ — სპორტსმენები, მოცეკვავეები; მიდიოდნენ რვა რიგად დამდგარი მშრომლები, ბევრს ბავშვებიც ჰყავდათ წაშოყვანილი, ბავშვები მშობლების მხრებზე ესხდნენ და ხელებიც ცისკენ ჰქონდათ აწვდილი. ტრიბუნასთან მისულდნენ მალდიდან გადმოგვამხებდნენ: «გაუმარჯოს პირველ მასის, წლის უმშვენიერეს დღეს». «ვაშა! ვაშა!»... გუპასუხებდით ჩვენ, ნაბჯი გვერვოდა, ზოგს ცრემლიც კი ედგა თვალებში...

ნაშუადღევს დალილინი, დაქანცულინი ვბრუნდებოდი შინ. შინ სიხარულით გეზღებოდნენ ყველანი, სუფრასთან გვეპატავებოდნენ, რამდენიც გვინდოდა იმდენი დაგვევლია ხილის ტკბილი წვეწვენი და ლიმონათები, მაგვერთმია კანკალის მომგვრელი ნამცხვრები. დიდები სვამდნენ ღვინოს, ხმაურობდნენ, იციოდნენ, ყველა ღამაში იყო.

მაგრამ პირველ მასის მაინც არ იყო მთავარი. მთავარი იყო ორი მასი. ორ მასის ყველანი ქვივობდნენ, თანაც შინიდან გასულინი. მიიღო ხუდადობის

საქართველოს
ინფორმაცია
3

ტყე ხალხით იყო სავესე, ყოველი ხის ქვეშ სუფრა იყო გაშლილი, ყველა ხე პატარ-პატარა დროშებით იყო შემკული. დადიოდნენ მეშუსიკეები — მეზურნეები, მედულუკეები, მედოლეები, ცას იყო შეწვედნილი სიმღერები და მსახიობურად წარმოსთქმული ლექსები...

ხუდადოვის ტყესთან ახლოს მცხოვრები პატარა ბიჭები მოუთმენლად მოველოდით ამ მაისის ორს. დილაადრიან არა, მაგრამ ასე თორმეტი საათისათვის ვავსებდით სურებს, ჩაიდნებს, ხელში გვეჭირა ორთი ჭიკა. შევიდოდით ტყეში და ცოტა დარცხენილები, მაგრამ მაინც ყოჩაღად მევირალნი: — «წყალი! ჩვენი უბნის ცივი, უწმინდესი წყალი!» — გაგავსებდით ჭიკებს, მოქვიფენი თითო ჭიკა წყალში გვაძლევდნენ ხუთ კაპიკს, ანუ მაშინდელი თქმით, თითო შაურს, ზოგი სამ კაპიკსაც, ორ კაპიკსაც. მთავარი იყო, ჭურჭელი მაღე დაცლიდიყო. დაიცლებოდა და გაერბოდით ჩვენი ონკანებისაკენ. ფიბეები უკვე გამობერილი გვექინდა შაურიანებით. ყოჩაღბდით, ჯარასავით ვბრუნავდით: «წყალი! წყალი! უკვდავების წყალი — ცივი, ანკარა!» მერე და მერე უფრო მატულობდნენ ჩვენი მუშტრები. ის მუშტრები გვიწვდიდნენ ხორცებს, ნამცხვრებს. თითქმის ხალამომღე, ოფლგადამსკდარი, ვაწყდებოდით აქეთ-

იქით. ვახერხებდით, ვშოულობდით იმ დღის გახე თებსაც და იმათაც ვყიდდით. საღამოს ნაქტიფარ ადგილებზე ვექებდით ხურდა ფულებს, ვპოულობდით ჩვენთვის ძვირფას აბაზიანებს, სამშაურიანებს. დილას ისევ მივბრობით ტყისაკენ; ისევ ვექებდით რადეცებს გაფაციცებულნი...

ტყე იყო ქალღღმებით, ძვლებით, პურის ნარჩენებით, ლიმონათის ბოთლებით სავსე. ხეებზე დარჩენილი იყო პატარ-პატარა დროშები. დიდი ჟრიაშული პქონდათ ატყხილი ჩვენს მაღლა ჩიტებს.

შინ სამალავები გვექნდა — თეთრი ფულები ცალკე, შავები ცალკე, ძველ წინდებში. დედა და მამა გადაიდებული თვალებით მიყურებდნენ, მაგრამ არ მლანძღავდნენ. სკოლაში მიმავალი, მაღაზიაში გვიდულობდი დაბრაწულ, ტკბილი კრემებით დატყეილ პონჩიკებს, ლვეწულებს. თითოში ვიხდიდი ათათ კაპიკს. მხრები გაგანიერებული მქონდა, სახე — განათებული. უფრო კარგადაც ვსწავლობდი. ძალიან ღამაზები და საამაყინი იყვნენ ჩვენი ნაშოვნი შაურიანები. თქვენ ყურის დაგდებაც კი არ ვინდათ — რას ვამბობ, მათხოვრებოვით სულ დედისა და მამის ხელებს ხართ მიჩერებულნი...

ორი პატარა ბიჭე უკნიდან ეპარებოდა მოხუცს.



ყაყაჩო ვარ

ლია კობალაძე

ყაყაჩო ვარ, წითელკაბა,
მეძახიან აზიზ-მაზიზს,
თავთუხებში თვალებს ვნაბავ,
შუბლზე შავი ხალი ძაზის.
ყაყაჩო ვარ სასურველი,
მინდორ-მინდორ ვანთებ კოცონს,
ამ ღამაზი ედექ-ველის
კალთა-მეკრდი დამელოცოს!..

ანატოლი ქარლავა

აქაც კრავია, ზევეითაც,
 ორივე ასარებს მსერასა,
 ზირველი გაიზრდება და
 რძეს მოკვცემს ქათქათულას.
 ექნებათ მატელის წინდები
 ეკას, ბადრის და ცირასა...
 ცად რომ ჩანს — გაიზრდება და
 მოკვცემს ქუქუნა წვიმასა.

მხატვარი **ლალი ლომთაძე**



ვარდი

(ელაპარი)

ვლადიმერ ბერიანოვილი

ერთ წალკოტივით ბაღში ვარდის ბუჩქი იდგა. დადგა გაზაფხული, იმძღავრა მზემ, გაფუცდა მიწა, ბუჩქს ფესვებში წვენი ჩაუდგა და იწყეს კოკრებმა გაშლა. იშლებოდა კოკრები და უფრო და უფრო მშვენიერდებოდა ბუჩქი.

ერთ დღეს ორღობეში დედაბერმა ჩამოიარა, ხასხასა ვარდებმა თვალი მოსტაცა, ერთი ცალი მოწყვიტა და წაიღო, ჩემს შვილიშვილს წინდებში ჩავუქსოვ, ლამაზი წინდებით გავახარებო. დარჩენილმა ვარდებმა მოიწყინეს, — ჩვენ ალბათ ულამაზოები ვართ, რადგან დედაბერს არ მოვეწონეთო. მაგრამ მეორე დღეს სხვა დედაკაცმა ჩამოიარა და ერთი იმანაც მოწყვიტა, ჩემს შვილს ბალიშის-პირში ჩავუქარავ, ლამაზ ბალიშზე დაიძინებს და ფერად სიზმრებს ნახავსო. ცოტა ხანში ერთმა კაცმა წაიღო ვარდი, ჭიშკარზე ამოკვეთავ, გამვლელ-გამომვლელი იმის ხილვით დატკბება და დამლო-

ცავსო. ახლა პატარა ბიჭმა მოწყვიტა ერთი ვარდი, ჩემი დაიკოს დაბადების დღეა, ვაჩუქებ და გავახარებო.

ასე ხან ვინ მოდიოდა, ხან ვინ, და თითო ვარდი ყველას მიჰქონდა. ბოლოს ბუჩქზე ერთი ვარდილა დარჩა. რაც უფრო აკლდებოდა ბუჩქს ყვავილები, მით უფრო სტკიოდა გული იმ ვარდს, რომ ყურადღებას არავინ აქცევდა. ყველაზე მახინჯი მე ვყოფილვარო, — გაიფიქრა, ამოუჭდა გული და გადმოყარა კურცხლები. უცებ მსუბუქი შეხება იგრძნო, თითქოს ნიავი მოეფერაო, და ნაზი ხმა ჩაესმა:

— რა მოხდა, პატარავ, რას იმდულ-რები, გაწყენინა ვინმემ?

ვარდმა მოიხედა და ერთი გაღეული მიწისფერი ჩიტი დაინახა. „ალბათ მართლა ცუდად არის ჩემი საქმე, ეს მლივიც რომ „ჩემო პატარას“ მეძახისო, — გაიფიქრა.



— მეტი წყენინება გინდა?! ალბათ ყველაზე მახინჯი მე ვარ, რომ სხვა ვარდები გაკრიფეს, მე კი ყურადღება არავინ მომაქციაო.

ჩიტმა გაიცინა.

— ტყუილად ითხრი ცრემლებით მაგ ლამაზ თვალებს. შენზე ლამაზი ვარდი ჩემს დღეში არ შემხვედრია! შენ რომ ვინმეს წაუყვანე, მე რაღა მეშველებოდა. შენ მე მჭირდები, აბა ბულბული უფარდოდ ვის გაუგონია! ქვეყნად ყველას და ყველაფერს თავისი დანიშნულება აქვსო.

ვარდი გაოცდა.

— როგორ, შენა ხარ ბულბული? ასეთი პატარა და შეუმჩნეველი?

ჩიტმა შეატყო, რომ ვარდს მისი ბულბულობა არა სჭეროდა, თვალეები დახუჭა და სიმღერა წამოიწყო.

ჩიტუნას ჯადოსნურ სტვენაზე ვარდმა თავი ასწია, მხრებში გაიმართა, მკერდი უფრო მეტად გადაიფურჩქნა და ისევ ცრემლები წამოსცვივდა. მაგრამ ეს უკვე სიხარულისა და ბედნიერების ცრემლები იყო — ის თვით ბულბულს სჭირდებოდა!

გორგი შარათლი
ვის რა უნდა?

ციურ წვალს უნდა მიწას სწყალობდეს,
წუართს — მწუურვალთან მიწანწკარობდეს,
ნაკადულს — ტეუში მიხარხარობდეს,
რომ საბუდრის ხე დიდხანს ხარობდეს.



უშიშა

უშიშა უნდა გავაცნოთ,
 ძაღვ სუთი წლის
 რო სდებია, —
 ხან ლოდებს ეჭიდებება,
 ხან ლობებს შეაბობდებება,
 ანცია,
 თავისწვერაა,
 ხანდახან
 წკებლაც მოხვდება...
 ნეტავი მაშინ განახნათ,



მხატვარი **ბასო სიღაშული**



ხმალი რომ მოაგონდება,
 შემოგუჭდობა,
 შეგანჯღრევს,
 ბელივით აგუტოტებთ,
 თან ისე ამოიხსრებს,
 კაცს გული დავიღონდება...

ხმალს ჯერ ვერ მოგცემ,
 უშიშავ,
 მამალს დაჰკრავ და მოკვდება.
 გაიხრდები და გაზუქებ,
 მამულის მტერსნამც მოხვდება!

ბიბლიური თქმულებები

ბიბლია

ია მალიჩიძე

მხატვარი **ილუარდ ანგოპაძე**

ალბათ ყველას გინახავთ „ბიბლია“ — ყველაზე დიდებული, განსაკუთრებული წიგნი. იგი ბევრი სხვადასხვა წიგნისაგან შედგება. მათი მეშვეობით თვითონ ღმერთი გველაპარაკება, გვიხსნის თავის წმინდათაწმინდა საიდუმლოებებს, გვასწავლის ყველაფერს ღმერთის, სამყაროსა და ჩვენივე საკუთარი თავის შესახებ. ბიბლიის წიგნები სხვადასხვა დროს თვითონ ღმერთის შთაგონებით დაწერეს ღვთისა და ადამიანებისადმი სიყვარულით სავსე, განსაკუთრებით წმინდა ადამიანებმა. ბიბლია პირველი წიგნია წიგნის ისტორიაში.

ღმერთი არის სრულყოფილი, ყოველსემძლე არსება, რომელიც ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება. მას სამი პირი აქვს და ამიტომ წმინდა სამება ჰქვია. ღმერთი არის მამა, ღმერთი არის ძმა და ღმერთი არის სულიწმინდა. მაგრამ ეს სამი პირი ერთია ერთ ღმერთში. ამიტომაც არის ღმერთი ერთი, ერთიანი, განუყოფელი. შედარებისათვის წარმოიდგინეთ მზე: მზე არის უზარმაზარი ცეცხლოვანი ბურთი, მზე არის სინათლე და მზე არის სითბო. ამავე დროს მზე ერთია.

ღმერთს ყოველი ჩვენგანი ძალიან დიდი სიყ-

ვარულით უყვარს. ეს სიყვარულია ჩაქსოვილი ბიბლიის წიგნებშიც.

ბიბლიის პირველი წიგნია „ღაბაღაბა“ მისი ავტორია წმინდა წინასწარმეტყველი მოსე.

სამყაროს შექმნა

ძალიან დიდი ხნის წინ არ იყო არც მიწა და არც მზე, არსებობდა მხოლოდ ღმერთი, უოვლადკეთილი და უოვლადდიდებული. მის დიდებულებას მოწმობენ მისი საქმეები — ღმერთმა შექმნა ცა, მიწა და ყველაფერი, რაც მათშია. ღმერთი უოვლადძლიერია. მას შეეძლო ერთ წამში შეექმნა ყველაფერი, მაგრამ ასე არ ინება — თანდათანობით, „ექვს“ დღეში გააკეთა თავისი საქმეები. ბიბლიურ „ექვს დღეში“ უნდა ვიგულისხმოთ არა ჩვეულებრივი ექვსი დღე-არამედ ექვსი ეტაპი, ღვთის შემოქმედების ექვსი ხანგრძლივი პერიოდი.

„თავდაპირველად შექმნა ღმერთმა ცა და მიწა“, — ასე იწყება „ღაბაღაბა“. ცაც და მიწაც არაფრისაგან შექმნა ღმერთმა: გაიფიქრა და გაჩნდა ცა, თქვა, და გაჩნდა მიწა.

რას ნიშნავს ცა? ღვთის მადლით მოხილი აღამიანები გვიხსნიან, რომ ცა აქ ნიშნავს ანგელოზთა სამყაროს, ანგელოზთა ცხრა გუნდს. ეს არის უმადღესი ცა.


ანგელოზები არიან საოცარი ნათლით შემოხილი გონიერი და კეთილი სულები. ისინი აღიდებენ ღმერთს და ემსახურებიან მას. ერთი ანგელოზი, სრულიად უშეიკვლო რომ გააჩინა ღმერთმა და დედამიწის დარაჯობა დაავალა, თავისი ნებით შეიცვალა, გაამყუდრა და ღმერთს გაუტოლა თავი. ღმერთმა იგი დასაჯა და ციდან უფ-



სკრულში ჩააგდო. ამ ანგელოზმა ბუნება შეიცვალა და გაბოროტდა. იგი გახდა სატანა — შავი ანგელოზი. ასე წარმოიშვა ბოროტება. სატანამ ბევრი ანგელოზი აიყოლია. ყველა ისინი დაეცნენ და ბოროტი სულები გახდნენ. ასე რომ, პირველი რევოლუცია ცაში მოხდა.

ღმერთმა თავისი სიტყვით, არაფრისაგან შექმნა დედამიწის მასალა, ანუ მატერია. პირველქმნილი მიწა — ეს იყო აწეილი ტალახის მსგავსი მასალა, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა: არც სახე ჰქონდა, არც ფერი და არც ფორმა. მასზე იწვა საშინელი წყვდიადი და იძვროდა ღვთის მაცოცხლებელი სული, რომლის მოქმედებით ღმერთმა ამ მასალისაგან უთვალავი საგანი შექმნა. პირველად მან თქვა: „იყოს ნათელი“ — და სიბნელეში სინათლე აკიჟდა. დედამიწამ ტანსაცმელივით ჩაიცვა სინათლე. ეს ნათელი მზის შუქი არ იყო (მზე მაშინ არ არსებობდა), არამედ თვით ღმერთის მიერ გაჩენილი სინათლე. ნათელს უწოდა ღმერთმა დღე, ხოლო ბნელს — ღამე და ისინი ერთმანეთისაგან გაჰყო.

თავისი საქმეები ღმერთმა დაიწყო საღამოს. იყო საღამო, იყო დილა. ეს იყო პირველი დღე. ღმერთმა ცისა და დედამიწის წყლებს შორის გააჩინა მყარი, რომელსაც უწოდა ცა. აქ იგულისხმება ხილული, ანუ პირველი ცა, დედამიწას რომ აკრავს გარშემო — იგივე ატმოსფერო. ცის მყარის გაჩენის შედეგად ცა და მიწა დასცილდნენ ერთმანეთს, გაჩნდა ჰაერი, გაჩნდა ცეცხლი. იყო საღამო, იყო დილა, იყო მშორმ დღე. ღმერთმა ბრძანა: შეგროვდეს ერთად ცის-



ქვეშეთის წყალი და გამოჩნდეს ხმელეთი. მისი სიტყვით წარმოიქმნა ზღვები, ოკეანეები, წყაროები, მიწისქვეშა წყლები. წარმოიქმნა მიწა, გაჩნდა მთები, კუნძულები, ხევები, ვაკეები. დედამიწამ თავისი სამშენისიცი მიიღო — ღმერთმა მას მიანიჭა აღმოცენების უნარი, დაუწესა კანონი. სინათლისა და წყლის მოქმედებით მიწამ აღმოაცენა ყოველგვარი ბალახი, ყვავილი, ხე. ისინი იძლეოდნენ თესვს ყველა თავ-თავის გვარის მიხედვით. პირველი მცენარეები უზარმაზარი იყვნენ და ჰქონდათ სხვადასხვა მშენიერი ფერები — საოცრად ლაშაზი და ხასხასა. ეს იყო მისამდე დღე.



მეოთხე დღეს ღმერთმა ცის მყარზე გააჩინა მზე, მთვარე და მილიარდობით ვარსკვლავი — დედამიწის მნათობებად და იმისათვის, რომ ადამიანებს აღენიშნათ, გამოეთვალათ ღვთისაგან შექმნილი დრო: წელიწადები, თვეები, დღეები, კვირები; მზე დააწესა დღის მფლობელად, მთვარე და ვარსკვლავები — „ხელმწიფეებად ღამისა!“ ვარსკვლავიანი ცა შემოქმედის დიდებულებასა და სიძლიერეს გამოხატავს. აქ დიდი საიდუმლოა დაფარული: დედამიწა ამ უკიდევანო სამყაროს ერთი პატარა ნაწილია, მაგრამ, სულიერი თვალსაზრისით, მისი ცენტრია. დედამიწისათვის შეიქმნა მთელი დანარჩენი სამყარო.

ღვთის ნებით, პირველი ცოცხალი არსებები გაჩნდა წყალში, — დიდი და პატარა თევზები, ზღვის ცხოველები. მერე გაჩნდა ათასნაირი ფრინველი. მათ დაიწეს ფრენა ცის მყარზე. ღმერთმა აკურთხა ისინი და მიანიჭა გამრავ-

ლების უნარი ყველას თავისი გვარის მიხედვით. ეს მოხდა **მეხუთე დღეს**.

მეექვსე დღეს ღმერთმა ბრძანა: აღმოაცენოს მიწამ ცოცხალი არსებები, ცხოველები. გაჩნდნენ მხეცები, შინაური ცხოველები და ქვეწარმავლები თავ-თავისი გვარის მიხედვით. აივსო დედამიწა ღვთის გაჩენილი არსებებით.

სულ ბოლოს გამოჩნდა ადამიანი, ვთი მეფე თავის სამფლობელოში. ღმერთმა ყველაფერი სიტყვით შექმნა, ადამიანი კი თავისი ხელით გააკეთა თიხისაგან თავის ხატად და მსგავსად და ჩაბჭერა მას სიცოცხლის სული, სული უკვდავი. ამიტომაც ადამიანი, რომელიც თავისი აღნაგობით დიდად არ განსხვავდება დედამიწის სხვა ბინადართაგან, სულით უკვდავია, ანგელოზებისა და თვით ღმერთის მსგავსი. ზოგიერთებმა კი ბრიყვული რამ მოიგონეს: ადამიანი მიამუნისაგან წარმოიშვაო. ეს იმათ თქვეს, ვისაც არ უნდოდა, რომ ღმერთი და საერთოდ, სულიერი არსებობა გვერწმუნა.

ღმერთმა მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ადამიანი და მას დაუმორჩილა ყოველი სულდგმული.

გადახდა უფალმა თავის ქმნილებებს და მოეწონა. ყველაფერი კარგი იყო, ყველაფერი უსადოდ, უნაკლოდ გაეთებულა.

მეშვიდე დღეს ღმერთმა დაისვენა თავისი საქმეებისაგან. ამიტომ ამ დღეს შაბათი (ებრაულად — დასვენება) უწოდა, წმინდა დღედ დააწესა და აკურთხა. ქრისტეს აღდგომის შემდეგ კი უფლის წმინდა დღედ კვირა ითვლება და ყველა ქრისტიანი მოვალეა ღმერთს მიუძღვნას იგი.





„დიღის“ მხატვარი

ვისაც შურნალი „დიღა“ უყვარს, იმას ბევრჯერ უნახავს მის გვერდებზე წარწერა — მხატვარი **გიორგი როინიშვილი**.

გიორგი როინიშვილი უმისოდ წარმოუდგენელია ჩვენი შურნალი. შეიძლება ითქვას, რომ „დიღა“ მის ხელში დაიბადა. და აი, რატომ.

1946 წელს, როცა გოგი როინიშვილმა თბილისის სახმატერო აკადემია დაამთავრა და ქართველი ბავშვების შურნალში დაიწყო თანამშრომლობა, შურნალს სულ სხვა სახელი ერქვა — „ოქტომბრელი“. მხოლოდ 1947 წელს მონათლა ის „დიღად“ მისმა მშინდელმა რედაქტორმა გივან მარგოიანმა. ასე და ამგვარად, ბავშვების ძველისძველმა შურნალმა (დაარსებისას, 1904 წელს, მას „ნაკადული“ ერქვა) თითქოს ხელახლა აიღდა ფეხი, და მასთან ერთად აიღდა ფეხი ახალგაზრდა

მხატვარმა გიორგი როინიშვილმა. ისე რომ, შეიძლება ითქვას — გოგი როინიშვილიც „დიღაში“ დაიბადა — როგორც მხატვარი.

მაშინ, 45 წლის წინათ, იგი 25 წლისა იყო, ახლა კი 70 წლისაა. და მთელი ამ ხნის მანძილზე ერთი დღეც არ უარსებია, რომ „დიღაზე“ არ ეფიქრა და არ ეზრუნა. ჯერ მხოლოდ თანამშრომლობდა შურნალში, მერე ტექნიკურ რედაქტორად მუშაობდა, ბოლოს კი, აგერ უკვე თითქმის 20 წელია, სახმატერო რედაქტორია. აბა გადახედეთ „დიღის“ ნომრებს! რამდენი ილუსტრაციის ქვეშ ნახავთ მის გვარს! მაგრამ რომ იცოდეთ, რამდენ მის ნამუშევარს არ აქვს მიწერილი გვარი.


აი, თუნდაც გვერდები: „რა ხელმა ააგო“, რომლებიც ან ქართული ტაძრის ჩუქურთმებით ასხმულ სვეტებშია ჩადგმული, ან ამა თუ იმ ძეგლის სურათით დამშვენებული.

ანდა აიღეთ მშვენიერი, ფაქიზი გემოვნებით მოხა-

ტული ასოები, ლექსები, ვერადი ფონები და დეკორატიული ჩარჩოები — ყვავილები, ფოთლები, ღერწები...

რა მშვენიერებაა თითქმის მთლიანად გოგი როინიშვილის გაფორმებული ნომრები — თუნდაც აი, ამის წინა, მე-4, 9 აპრილისადმი მიძღვნილი ნომერი. ან შარშან იაკობ გოგუბაშვილის საიუბილეოდ დაბეჭდილი „დიღა“. ანდა იქნებ ზოგ თქვენგანს უნახავს უფროსი და-ძმებისაგან შემონახული 1984 წლის № 12 „დიღა“ — ქართული საბავშვო შურნალისტიკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი. ნეტავ ყველას განახათ!

და კიდევ — ნეტავ განახათ, როგორია თვითონ ბატონი გოგი როინიშვილი, „დიღის“ მთავარი მხატვარი — 70 წლის ახალგაზრდა, მხნე, „კენჭივით“ კაცი, თქვენი მოყვარული, თქვენი „დიღის“ მოამბე და ჩვენთვის, „დიღის“ თანამშრომლებისათვის საყვარელი და მოწიწებით პატივსაცემი ბატონი გოგი.



პრალა


გიორგი მონიშვილი 70



ქველი თბილისის სახურავები



«ღილის» ბარკაანი



ბათონია



ვაჰვიტა

ალუკოს ნაიჰაპი

ჩემს ტოტემზე სტუნვას, ფროხიანს
 არ ვამადლი ჩიტუნას,
 არ ვამადლი არც ჩემს ნაეოფს —
 გემრიელს და უუათიანს.
 იმიტომ რომ მიფროხილდება,
 არც ქერქს მაცლის,
 არც ტოტს მამტვრევს,
 მუდამ თავზე დამტრიალებს
 და მაშორებს მწერებს, მატლებს...
 აბა, ასეთ კარგ შეგობარს
 ნაეოფს როგორ დავამადლებ.



ცირა ჰიტიაშვილი

საქველბო

სულ სასუსნავის ძეხნაში
 რადა ხარ, ნეტავ, გართული,
 რად გიუვარს თათის ფათური
 სხვის თაფლის სკაში, დათუნი?
 აბა შეხედე, ნესტარი
 როგორ მაქვს წამომართული,
 ცხვირდაკებნილი შენი მძა
 ღრიალებს მოლზე გართხმული.
 წუწკობა, ქურდბაცაცობა
 ნუთუ საქმეა დათური?



ბექას საქართველო

შოთა ასანიშვილი

ოქროთი მოვევარაყვებინა შემოდგომას ეხო-ყურე, ჩაყურებული გარემო შხის მიმთინთავ შუქზე ნებიერთბდა. ირგვლივ მწიფე ხილის თავბრუდამახვევი სურნელება იდგა.

ბებია მართამი სათნეში პურს აცხობდა. თაღზი თავსაფრით ისე შეებურა სახე, თვალებიღა მოუჩანდა. ვარცლის კალთაზე გაშლილ საფანულზე გუნდას გამტეგებით დაახეთქებდა. თითებით გააბრტყელებულააგრობელებდა, მერე მარჯვენა ხელის მტევანზე გადაიკიდებდა, ნაღვერდალჩაყურებულ თონეში მარჯვედ გადაეუღებოდა, ცოხს თონის გვერდს მოხდენილად გააწნავდა, თითებით შეაღამაზებდა. წელში გასწორდებოდა. ახალ გუნდას მისწვდებოდა.

ბებია მართამმა გრძელი ღამაზი შითებით თონე ერთიანად გაავსო. მერე თონის პირს სუფთად გაშალაშინებული ფიცრები დააფარა. იქვე დაბალ სამფეხაზე ჩამოჯდა. თაღზი თავსაფარი შეიხსნა, ბოლოები თავსზევით შეპყარა. წინსაფრის ჯიბიდან თეთრი მიტკლის ხელსახოცი ამოიღო და ოფლით დაცვარული შუქიანი სახე შეიმშრალა.

იქვე, შავი თითათი დახუნძლულ თალარის ქვეშ, ცხრა წლის ბექა თამაშობდა. მწიფე მაცვლისფერთვალემა, ყორნისფერქორონა ბექას მოკლესახელთებიანი თეთრი პერანგი ეცვა. მარჯვენაში სამფერთ-

ვანი პატარა დროშა ეკავა. გრძელ თალარს ხელებს უცნაური ქნვეით ჭიშკრამდე ჩაიბრუნდა, ასევე ხელების ქნვეით უკანვე ამოიბრუნდა. პატარა ბიჭი ასაფრენად გამზადებულ უცხო ფინიგელსა ჰგავდა. ხორბლისფერ სახეზე ღიმილი ვადასდიოდა. აფრიალებდა პატარა დროშას და დროგამოშვებით ხმამაღლა იძახდა:

— გაუმარჯოს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს!

ბექას შემხედვარე ბებია მართამს სიხარულის შუქი ჩახლვომიდა გამოხუნებულ თვალეში. კარგაზანს უცქიარა შვილიშვილს, მერე თავისთან უხმო.

— ბექა, მოდი ჩემთან, შვილო.


ბექა წამით შეჩერდა, ერთი კიდევ დასჭეკა:

— გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს! — და ბებიასთან მიიბრინა.

— რამდენი ვირბენია, ბებო გენაცვალოს, გული ამოვარდნაზე გაქვს. ცოტა ხნით ჩამოჯექი. სული შოითქვი. მერე ისევ იბრინე და აფრიალე თავისუფალი საქართველოს დროშა.

ბექამ ბებოს ყური უგდო. იქვე სუფთად გადაჭრილ კუნძვე ჩამოჯდა.

— სულ მალე პური გამოცხვება, დაბრაწულ შოთებს ამოვვრი თონიდან, კნაწუნა წვერით გაგიმას-



მხატვარი **თამაზ სუციშვილი**

პინძლები.

ბებია და შვილიშვილი ერთხანს მიეყრდნენ. მერე ბებომ ბექას კითხა:

— ბექა, რომ გააკვივი, დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარჯოსო, იცი მანც, რას ნიშნავს, შვილო?!

— ვიცი, ბებო, მაშ არ ვიცი! — ამაყად შეხედა ბებიას.

— მანც რა იცი, ბებო შემოგვევლოს?

— ამას წინათ ნინო მასწავლებელმა წერითი დავალება მოგვცა მშობლიურ ენაში. დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ აღწერეთ შემოდგომის სურათი, ვისაც როგორ წარმოგიდგენიათო.

— მერე? — დაინტერესდა ბებია.

— დაგსხვდით და დავიწყეთ წერა. მაღე ნინო მასწავლებელმა მოგვბოდიშა, პატარა ხნით დაგტოვებთ, აბა, თქვენ იცით, როგორ წყნარად გაასრულებთ დავალებასო. გავიდა ნინო მასწავლებელი კლასიდან და ზარმაცებიც აირივნენ. ვის გვერდიდან წამოუარეს და ნაწურში ჩახედეს, ვის უკნიდან წამოეპარნენ და ჩაიჭყვტეს.

ბებიას სიმწრით გაეღიმა.

— ეს, შვილო, ასე ერთბაშად დამოუკიდებლობას ვინ დაგანებებთ, უყვართ უქნარა ადამიანებს სხვის სულში და გონებაში ჩაძვრომა.

— ნინო მასწავლებელმა ხომ გარკვევით გვითხრა, ვინც როგორ ხედავთ, ისე დაწერეთ შემოდგომის სურათით, დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ ო. — ჩამომარცვლა ბექამ. — ჩემი შემოდგომა სხვას რაში გამოადგება, ბებო? — უკვირს ბექას.

— არც არაფერში, შვილო.

მერე ბებიამ თონეს ფიცრები გადახადა, შიგ ჩაიხედა.

— აუჰ! როგორ დაბრაწულან! — თქვა და თონიდან შოთების ამოყრას მოჰყვა.

ჩაჰკრავდა პურს ყუაში კინჭუტს, ალაგ ასტამს შეაშველებდა, პირს ჩაუფხვკედა. დაბრაწულ შოთს ამოაფრიალებდა, იქვე ლასტზე სივრძივ დააყუდებდა.

ბებიამ ერთ ყველაზე დაბრაწულ შოთს წვერი წაატება, ბექას გაუწოდა.

ბექამ გამიართვა, გემრიელად ჩაკბინა, სიამოვნებით თავი გადააქნ-გადმოაქნია.

ბებიამ თონის გვერდებს ჩამოუარა, ასტამით ჩაფხიკ-ჩააკარილა, ახალი შოთების ჩაკერის თადარიგი დაიპირა.

ბექამ შოთის წვერი გაათავა. ფეხზე წამოდგა. ისევ ჭიშკრისაკენ გაჩნთო. თავისუფლებისათვის დაბადებულ ფრინველივით იჭყვდა ჯერაც სუსტ მკლავებს. მარჯვენაში დამოუკიდებელი საქართველოს პატარა დროშა ეკავა. გარბოდა და თან თმანიანად სჭყქდა:

— გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

ჭრიჭინას სიმღერა

შოთა სოღაშენი

დღედაღამე ერთ ჰანკზე
 ავიწევი მოტივი.
 — ჭრიი-ჭრიი-ჭრი, ჭრი, ჭრი...
 მოძღერი თუ მოტირი.
 ვუსმენ ერთ სმას და ერთ ტონს,
 ვუხები ვულდაწვეტილი.
 რად არ იცი, ჭრიჭინავ,
 ან მძიმე, ან წერტილი?
 საცეკვაოც ეს არის,
 საქორწილოც, მუერულიც,
 ნეტავ მოვასმენინა
 ჭრიჭინ, შენი დაკრული.
 სულ ერთი ჰანგის სმენა
 დამდღულია ძალიან.
 — რაც ვისწავლე, ის ვიცი,
 განა ჩემი ბრალია?



შატავარი გიორგი ჩაჩანიძე

მეხსური ლეგენდები

ფოსო ჯვარი

ნოდარ ივანიძე



ასპინძის რაიონის სოფელ აწყვიტაში არის ერთი ადგილი, დღეს უკაცრიელი. ადრე, აქ: ყანის გვერდით, ქვით ამოშენებული პურის ორმო ყოფილა. აქაურები მას ფოსო ჯვარს ეძახდნენ.

ლეგენდა მოგვითხრობს:

ქალი ყანას მკიდა. დაინახა, თათარი მხედარი მისკენ გამოქანდა. ქალმა წინასწარ შეიხსნა ჯვარი და ორმოსაკენ გაიქცა. თათარი მიეწია და ხელი სტაცა, წამომეყვი, თორემ ცოცხალს არ გაგიშვებო. ქალმა ხერხს მიმართა, თავი ჩაღრმავებულის მიმართულვით გადააქნია და შეხსნილი ჯვარიც ორმოში ჩავარდა. ქალმა თათარს უთხრა: ამომიღებ ჯვარს, ცოლად გამოგყვები, თუ არა და თავს მოვიკლავო. იმანაც ხელი გაუშვა ქალს და ორმოში ჩახტა. ამ დროს ქალმა ზემოდან ხანჯალი დააყოლა. მომაკვდამა თათარმა ქვემოდან ამომიძახა: ვაი, ჩემო თავო, ქალს დავუჯერე და ფოსო ჯვარს ჩავეყვიო.

საორგანოს ქსეჯანი

ურანსურთი

ნოდარ გუგუშვილი

ფრენბურთისა და კალათბურთის ისტორიაში ბევრ საოცარ, პირდაპირ დაუჭერებელ დამთხვევას შეხვდებით. ორივე ეს ფართოდ გავრცელებული თამაში თითქმის ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ქვეყანაში გამოიგონეს. თანაც ორთავე შემთხვევაში გამოგონებლები პედაგოგები იყვნენ და, მასაღადამე, ერთსა და იმავე ამოცანას ისახავდნენ მიზნად. და კიდევ, ერთი არანაკლებ საოცარი დამთხვევა: ფრენბურთსაც და კალათბურთსაც კონკრეტული ნათლები ჰყავთ, რომლებიც ერთ ქალაქში ცხოვრობდნენ და ერთ უმაღლეს სასწავლებელში მოღვაწეობდნენ.

ხომ გახსოვთ, კალათბურთი გამოიგონა მასაჩუსეტსის შტატის (აშშ) ქალაქ სპრინგფილდის კოლეჯის პედაგოგმა ჯიმს ნეისმიტმა 1891 წელს.

ფრენბურთის გამოგონებელი უილიამ მორგანიც მასაჩუსეტსის შტატში ცხოვრობდა, ოლონდ — ქალაქ გელიოკეში. ეს თამაში მან კოლეგებს გააცნო 1895 წელს.

კალათბურთისა და ფრენბურთის თავდაპირველი მიზანი, მათი გამოგონებლების ჩანაფიქრით, მოსწავლეთა თავისუფალი დროის გონივრული შევსება და ახალგაზრდების ფიზიკური მომზადება უნდა ყოფილიყო.

ნეისმიტმა საამისოდ გამოიყენა ბურთი და ხილის ორი წნული კალათა, რომლებიც ერთმანეთის პირდაპირ კედელზე დაამარა.

მორგანმა ორი მეტრით მაღლა ასწია ჩოგბურთის ბადე: ეს იყო და ეს ფრენბურთის თავდაპირველი აღჭურვილობა.

არც ნეისმიტსა და არც მორგანს თავდაპირველად გამოგონებისათვის სახელი არ დაურქმევიათ. კალათბურთის (ბასკეტბოლი) ნათლია გახდა სპრინგფილდის კოლეჯის პედაგოგი ფრენკ მეგანი (ინგლისურად „ბასკეტ“ — კალათს ნიშნავს, „ბოლ“ — ბურთს), ფრენბურთისა კი (ვოლეიბოლი) — იმავე კოლეჯის მასწავლებელი, დოქტორი ჯიმს პალსტედი („ვოლეი“ — მფრინავი, „ბოლ“ — ბურთი).

აქ წუდება დამთხვევათა ჯაჭვი და იწყება სპორტის ამ ორი სახეობის დამოუკიდებელი



მხატვარი მანანა მორჩილაძე

უყვარს ირაკლის ლახტის თამაში

ტარიელ ჭანტურია

ცხოვრება. მაგრამ კალათბურთს, რომ იტყვიან, ბელმა გაუღიმა და მალე მოიპოვა პოპულარობა მთელს მსოფლიოში, ფრენბურთი კი დროებით დავიწყებდას მიეცა. მაგრამ მანამდე შედგა პირველი ოფიციალური, საჩვენებელი მატჩი (1896 წ.) და შემუშავდა თამაშის წესები (1897 წ.).

მეოცე საუკუნის დამდეგს ამერიკულმა გემების მეზღვაურებმა ფრენბურთი ევროპის ქალაქებში შეიტანეს, ხოლო აქედან იგი აზიის ქვეყნებსაც გადასწვდა. 1907 წელს ჩეხოსლოვაკიაში მოეწყო ევროპელ ფრენბურთელთა პირველი საერთაშორისო ტურნირი. ამ დროისათვის ევროპის ქვეყნების — ჩეხოსლოვაკიის, საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის, ინგლისის, პოლანდიის გარდა ფრენბურთელთა კლუბები არსებობდა აზიაშიც — ავღანეთში, ჩინეთში, კორეაში, იაპონიაში...

მაგრამ ფრენბურთი კიდევ დიდხანს სტიქიური ცხოვრებით ცხოვრობდა, საინტერესო საერთაშორისო ტურნირებიც შემთხვევიდან შემთხვევამდე იმართებოდა, ისიც — რომელიმე ენთუზიასტი მეცენატის მხარდაჭერით. 1947 წელს მსოფლიოში მიმოფანტული ფრენბურთელთა ადგილობრივი ორგანიზაციები და კლუბები, როგორც იქნა, გაერთიანდნენ ერთ კავშირში, რომელსაც ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაცია ეწოდა.

ამ ღირსსახსოვარი თარიღიდან ერთი წლის შემდეგ ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის თაოსნობით მოეწყო ევროპის პირველი ჩემპიონატი, 1949 წელს კი მსოფლიო ჩემპიონატიც გაიმართა და მინც, მსოფლიო ფრენბურთის უველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებად ოლიმპიური ტურნირი ითვლება. ოლიმპიადაებში ფრენბურთის დებიუტი შედგა 1964 წელს ტოკიოს თამაშებზე.

საქართველოში ფრენბურთი სტუდენტურ სპორტად ითვლებოდა და საუკეთესო ფრენბურთელებიც მეტწილად უმაღლესი სასწავლებლების გუნდებში იყვნენ თავმოყრილნი. მათ შორის საუკეთესონი — გივი ახვლედიანი და ვაჟა კაპარავა — რუსეთში გადავიდნენ საცხოვრებლად და უმაღლესი ტიტულებიც სწორედ იქ მოიპოვეს. გივი ახვლედიანი, მაგალითად, იყო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ოთხჯერ კი — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. ასევე ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი იყო ვაჟა კაპარავაც.

— რა ვქნა, ჩემო ბატონო, ასეთი მაქვს ბუნება: მიუყვარს ლახტის თამაში — სხვისთვის ქამრის ცსუნება! ასეთი მაქვს ბუნება და არც გამემტყუნება: მომწონს ლახტის თამაში — სხვისთვის ქამრის ცსუნება! მიუყვარს წაგებულების მაგრად შეფუცსუნება: თქვენ რომ იცით, იმაზე ბრტყელი ქამრის ცსუნება! ისე მივლევ—მოვლევწო, ნანაჩემის ცსუნებამ! ჩემზე კარგად ვინ იცის კოჭკე ქამრის ცსუნება! — მაგრამ თუკი სხვებსაც აქვთ შენნაირი ბუნება? — მეც მომიწევს, რა ვუყო — უკან ქამრის ცსუნება!





ლოპია

როთა აპირანაშვილი

პრუსიის მეფემ, რომელიც ავად იყო, ექიმი რობერტ კოხი დაიბარა სასახლეში და უთხრა:

- იმედია, მე უკეთესად მიმკურნალბე, ვიდრე შენი საავადმყოფოს პაციენტებს!
- მომიტყევეთ, თქვენთ უდიდებულესობაე, ეგ შეუძლებელია!
- რატომ?
- იმიტომ, რომ ჩემს ავადმყოფებს მე მეფურად გამკურნალობ!



იპნანა


სახელგანთქმული ავსტრიელი კომპოზიტორი ფრანც შუბერტი ვენის ერთ ტრაქტორში მივიდა. ძალიან შიოდა, მაგრამ ჯიბეში ფული არ ჰქონდა და უფულოდ კი მიკიტანი არ ახადილებდა.

ამ დროს შუბერტმა ერთ გაზეთში, რომელიც სწორედ მიკიტნის მაგიდაზე იყო, რაღაც ლექსს მოჰკრა თვალი, აიღო გაზეთი, მივიდა ფანჯარასთან, ამ ლექსზე რამდენიმე წუთში სიმღერა დაწერა და ნოტები საფასურად მისცა მიკიტანს. მიკიტანს, ცხადია, ძალიან გაუხარდა და მაშინვე მოუტანა კომპოზიტორს შემწვარი ხორცი კარტოფლით.

შუბერტის გარდაცვალებიდან ოცდაათი წლის შემდეგ ეს ხელნაწერი ნოტები პარიზში აუქციონზე ორმოც ათას ფრანკად გაიყიდა. იგი შუბერტის საყოველთაოდ ცნობილი «იპნანა» იყო.

მატყარი **ილუარდ ამოკაძე**





ვინ უპაემ იცის ძართული ანდაზებზე

ამ თავსატეხით ორგვარ დავალებას გაძლევთ. პირველი: წაიკითხეთ ქვემოთ დაბეჭდილი ანდაზები და ჩასვით გამოტოვებული სიტყვები.

მეორე დავალება: აიღეთ უგრედებიანი რვეულის ფურცელი და ეს გამოტოვებული სიტყვები ისე ჩამოამწკრივეთ ერთმანეთის ქვეშ, რომ გამოიყოს ვერტიკალური სვეტი, რომელშიც წაიკითხავთ სიტყვას ანდაზს.

1. აღრე ამდგარსა ვერ დაეწევა მწვევარი.
2. დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე
3. ძმა ძმისთვისო, შავ
4. შვილი დედის გულის ვარდიაო.
5. ბუზი ყველა, ფუტკართან ყველა ტყუისო.
6. ავსა კაცსა სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა.



კატაკუკი

ლევან ბაბუხაძე

მე გავითვლი:
ერთი, ორი,
დანჯღღრე-ული
ტელე-ფონი,
თამა-შია ძვე-ლი,
სულ არ არის ძნე-ლი...
ღრუტუნა და ღორი,
წოწო-რი და ჯო-რი,
ჩურჩულ-ჩურჩულ-ჩურ-ჩულ,
მართა-ლი და
ჭო-რი.

— ენის —

ლალა ჯაფარიშვილი

შენ და შენი
შვიდი შვილი
თუთას არხვეთ
ხარისთვალას,
თეთრი თუთა
თქვენ მიირთვით,
შავი შაშვმა
შეგიჭამათ.

ბასაზუბი

699/78

მხატვარი გენიკ ზუბაშვილი



თუ მიხვდებით, 305 რა ხელების კაცია?

ჭიქა

გამოდის 1904 წლიდან.
საქართველოს ეურნალ-გაზეთების გა-
მოცემლობა „საშრობლო“

მოთავრი რედაქტორი
რეპუხ ინანოშვილი

სარედაქციო კლავია: მუშარდ აბო-
კაძე, მანანა ანიაძე, ლამარა პაპუა,
სუსილ გომიპერიძე, მერი ლაპიძე-
შვილი, სოლომონ დუშარხანაშვილი,
ლპილა შიამა, გელა ლოსაბერიძე,
მავსალა შიკვლიშვილი, ჯურნა ნა-
დიბაძე, თინათინ ჩალაური (პ/შკ,
მლიენი), გივი ძნელაძე, გივი ზი-
ბინაძე.

სამხატვრო რედაქტორი
გიორგი როინოშვილი

ტექნიკური რედაქტორი
ნელი წამყვანი

მისამართი: რედაქციის, გამოცემლობის,
სტამბის — თბილისი, კოსტავას 14. ტელ.:
ში. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16;
პ/შკ, მლიენის 93-10-32, 93-98-18; საშხ.
რედაქტორის — 93-98-18; განყოფილე-
ბების 93-98-19.

ვადები: საწყობად 11.03.91 წ. ხელმო-
წერილია დასაბუჯდად 20.05. 91 წ., ქა-
ლადლის ზომა 60x90¹/₈, ფიზ. ნაბ.
ფურც. 2,5. ტირაჟი 141.500, შეკვეთა
№534.

ელაზე ნახატი
ზაურ მშინაძისა

«Дила» («Утро»)
Отпечатано в типографии газетно-
журнального издательства Грузии
«Самшобло»

Главный редактор Реваз Инанишви-
ლი (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства:
380096, г. Тбилиси ул. М. Коставы 14.
Объём 2,5 печатных листа, тираж
141.500 Заказ №534.

5-თბი